განმარტებითი თიბარათი
„საქართველოსა და ბელგიის სამეფოს შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებაზე

„საქართველოსა და ბელგიის სამეფოს შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების გაფორმება:

- ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებას;

- ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაძლიერებას სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების დამზადებასთან და მათით უკანონო ვაჭრობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის დანაშაულების, იარაღის, საბრძოლო მასალების, ფეთქებადი ნივთიერებების, ორმაგი დანიშნულების საქონლისა და ტექნოლოგიების, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოაქტიური და ბირთვული მასალებისა და სხვა საშიში ნივთიერებების ქურდობის, უკანონო დამზადების, ბრუნვის და უკანონო ვაჭრობის, მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის, ადამიანებით ვაჭრობის და ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის, წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობის, შეძენის, ფლობის ან გასაღების, ფულისა და გადახდის სხვა საშუალებების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური დოკუმენტების გაყალბების, მათი ბრუნვაში გაშვებისა ან გამოყენების, ასევე, ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტის გაყალბებისა და გამოყენების, ფულის გათეთრების, კორუფციისა დაკიბერდანაშაულის პრევენციისა და მათი აღკვეთის მიზნით; ამას გარდა, ძებნილ, გაუჩინარებულ და დაკარგულ პირთა ან ნივთებთან მიმართებით, დანაშაულის ნიშნების შემცველი შემთხვევებისას თანამშრომლობის მიმართულებით;

- შეთანხმება, მათ შორის, ასევე განსაზღვრავს შეთანხმების განხორციელებაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური ორგანოების ჩამონათვალს, მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლის წესს, სამართალდაცვით სფეროში წარმომადგენლის ფარგლებში თანამშრომლობის ფორმატს, პერსონალური მონაცემებისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის წესებს, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს და ეფექტურს გახდის მხარეებს შორის თანამშრომლობას;

ზემოაღნიშნული შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, ნოტების გაცვლის გზით მოლაპარაკების გამართვის თაობაზე გამოცემულ იქნა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 აგვისტოს №1508 განკარგულება.

ამასთანავე, ბელგიურ მხარესთან მოლაპარაკების პროცესში, შეთანხმებაში შევიდა რიგი ცვლილებები, მათ შორის, შეთანხმების ტექსტიდან ამოღებულ იქნა „კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დანაშაულები"; შეთანხმების მე-7, მე-10 და მე-14 მუხლები დაკორექტირდა და ბელგიური მხარის მოთხოვნით, გარდა პრეამბულისა, ტექსტიდან ამოღებულ იქნა ტერმინი „სახელმწიფო უსაფრთხოება"; ასევე ტექსტში შევიდა რედაქციული და სტილისტური ხასიათის ცვლილებები.

აღსანიშნავია, რომ შეთანხმების დადება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფასა და საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 1 მაისის N644 განკარგულებისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2024 წლის 1 მაისის N156 ბრძანების საფუძველზე, მ.წ. 2 მაისს, ბელგიის სამეფოში, ქ. ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე, საქართველოს სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ - ალექსანდრე დარახველიძემ.